ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნოდარ გიორგიძის ანგარიში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

პატივცემულო კოლეგებო,

ქალბატონებო და ბატონებო,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ანგარიში გასული 2024 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ.

სანამ უშაუალოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მისი კომისიებისა და საკრებულოს აპარატის მუშაობის შესახებ მოგახსენებდეთ, მინდა რამდენიმე წინადადებით შევეხო 2024 წელში ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონუკური განვითარების საკითხებს.

მოგეხსენებათ, გასული წლის შემოდგომაზე ჩატარებული საპარლამენთო არჩევნებით და შემგომში საქართველოს პრეზიდენტის არჩევით, ქვეყანაში დასრულდა ქვეყნის საპარლამენტო მოწყობის პერიოდი და იგი სრულად მოექცა კონსტიტუციის ჩარჩოებში, მიუხედავათ ოპოზიციის მცედლობისა დაეკნინებიათ, როგორც საარჩევნო პერიოდი, ასევე არჩევნების შედეგები და ქაოსი გამოეწვით ქვეყანაში შედეგი ვერ გამოიღო. მიუხედავათ გარე ძალების არნახული ზეწოლისა, ქვეყნის შიდა საქმეებში უხეში ჩარევისა, ქვეყანა აგრძელებს განვითარებას, იმ გეგმისა და პროგრამის შესაბამისად, რომელიც „ქართული ოცნების გუდმა წინა საარჩევო პერიოდში წარუდგინა ამომრჩევლს. აქვე მინდა გითხრათ, რომ მიმდინარე წელიც იქნება დატვირთული ახალი გამოწვევებით, იმთავითვე უნდა მოვემზადოთ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის, მაქსიმალური ყურადღება და ძალისხმევა უნდა გამოვიჩინოთ 2025 წელში, ჩვენს წინაშე დასმული ამოცანების შესრულებისათვის.

ასევე მნიშვნელოვანი იყო გასულ წელს, ქვეყნის მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება. მიუხედავათ უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებებისა, გარე და შიგა ძალების მცდელობისა, ქვეყანა ჩაებათ ამ ომში, კრახით დამთავრდა, რაც ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების დამსახურებაა.

მიუხედავათ, არსებული მრავალი ხელისშემშლელი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ქვეყნის ეკონომიკა აგრძელებდა წინსვლას, შენრჩუნებული იქნა ქვეყნის განვითარების ორნიშნა მაჩვენებელი, გაიზარდა ქვეყნიდამ იმპორტირებული საქონლის მოცულობა, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ასევე სამრეწველო ნაწარმის

მოგეხსენებათ აღნიშნულმა დადებითმა შედეგებმა გავლენა მოახდინა ადგილობრივ დონეზე ჩვენს საქმიანობაზე. სანამ ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ჭრილში მოგახსენებდეთ ძირითად მაჩვენებლებს, რომელიც გვაქვს, მინდა პირველ რიგში მოგახსენოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის თაობაზე განვლილ საანგარიშო პერიოდში, რომელიც ძირითადში ეფუძნებოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ცალკეული საკრებულოს წევრების, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების საქმიანობის ერთობლიობას.

გასულ, 2024 წლის საანგარიშო პერეიოდში მოწვეული იქნა და ჩატარდა საკრებულოს **16 სხდომა** (მათ შორის **5 რიგგარეშე სხდომა,** რიგგარეშე სხდომები ძირითადად მოწვეული იყო მუნიციპალიტეტის მერის წინადადებით). ჩატარდა ბიუროს ამდენივე სხდომა, საკრებულოს ამ პერიოდში **განხილული აქვს 73 საკითხი,** რაზედაც მიღებულია შესაბამის გადაწყვეტილებები. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე სამართებრივი აქტის სახით მიღებული იქნა **64 გადაწყვეტილება,** მათ შორის: **დადგენილება გამოტანილია 15 საკითხზე, ხოლო განკარგულება 49 საკითხზე,** 9 საკითხი სხდომამ ცნობათ მიიღო. რიგგარეშე სხდომებზე განხილულია 12 საკითხი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე განხილული **73** საკითხიდან, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების ინიციატივით შემოსულია **52** საკითხი. განვლილ საანგარიშო პერიოდში სხდომების მოწვევასა და ჩატარებაში ჩავარდნას ადგილი არ ჰქონია, ყველა მორიგი სხდომა ჩატარდა საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებში. საკრებულოს ყველა სხდომა ტარდებოდა ღიად და საჯაროთ, მოსახლეობას ქონდა საშუალება თვალი მიედევნებინა საკრებულოს საქმიანობაზე, საკრებულოში მიმდინარე ყველა პროცესი გამჭირვალეა, საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს ბიუროს სხდომები ტარდება ღიად და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება დაესწროს მას. ყველა მოთხოვნა ფიზიკური და იურდიული პირებისაგან საჯარო ინფორმაციის მიღებაზე, რომლის მომზადებასა და გაცემაზე პასუხიმგებელია საკრებულოს აპარატი, მიეწოდებოდათ შეუფერხებლად და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით.

საკრებულოს, საკრებულოს კომისიების და საკრებულოს ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციულ ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეული - საკრებულოს აპარატი, რომელიც შესდგება 8 პროფესიული საჯარო მოხელისაგან და დამატებით სხვადასხვა დამხმარე და არამუდმივი ფუნქციების შესრულებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული გვყავს რამდენიმე საჯარო მოსამსახურე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად ყოველწლიურად ხდება აპარატის თანამშრომელთა შეფასება წლის შედეგების შესაბამისად, ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ყოველკვარტალური შეფასების მეთოდი ახლად მიღებული თანამშრომლების მიმართ. გასული წლის ბოლოს განვახორციელეთ აპარატის თანამშრომელთა გეგმიური წლიური შეფასება. პერიოდულად ვახორციელებთ საჯარო მოხელეთა გადამზადებას და პროფესიულ განვითარებას, რაც მდგომარეობს მათ დატრენინგებაში, სწავლებაში. მიმდინარე წელში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დავაფინანსეთ საკრებულოს აპარატის 1 თანამშრომლის სწავლება, რომელიც ასრულებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მოვალეობას. აღნიშნულმა პიროვნებამ სწავლების შედეგად მიიღო სათანადო სერთიფიკატი და მომავალში ვფიქრობთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის თანამდებობას მიუსადაგოდ საჯარო მოხელის სტატუსი.

როგორც საკრებულოს წევრები, ასევე საკრებულოს აპარატის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სამთავრობო უწყებებისა, თუ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრეინინგებსა და კონფერენციებში.

საკრებულოს აპარატში გასულ 2024 **წელში შემოსული და რეგისტრირებულია 223 სხვადასხვა** სახის განცხადება, მომართვა თუ კორესპოდენცია. მომზადდა და სხვადასხვა დანიშნულებით გაიგზავნა **281** წერილი, შიდა დოკუმენტბრუნვაში მოექცა **40** შიგა დოკუმენტი (მოხსენებითი და სამსახურეობრივი ბარათი, ცნობა და ა.შ.). საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე შემოსულია **11** განცხადება, აქედან 2 მოქალაქემ მოგვმართა სხვადასხვა საკითხებზე, ერთი განხადება შემოსულია პეტიციი სახით. ყველა შემოსულ დოკუმენტზე მოხდენილია შესაბამისი რეაგირება, განმეორებით ერთდა იმავე საკითხზე მომართვას ადგილი არ ჰქონია.

2024 წლის 1 იანვრიდან ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გამოცემული იქნა **225 ბრძანება.** აქედან **108 ბრძანება** შვებულების შესახებ, საკრებულოს სხდომის მოწვევის შესახებ **-16**, მათ შორის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ **5 ბრძანება**, მივლინების შესახებ **9 ბრძანება,** საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურების შესახებ **12 ბრძანება,** საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ-**12 ბრძანება,** შრ.ხელშეკრულების გაფორმების შესახებ **25**, ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **2 ბრძანება,** საჯარო მოხელეებზე ჯილდოს გაცემის **შესახებ-1 ბრძანება, შვებულების გადატანის შესახებ 6 ბრძანება.**

საკრებულოს კომისიების, ბიუროსა და საკრებულოს სხდომის მოწვევის თარიღი, ჩატარების დრო, დღის წესრიგი და სხდომების ჩატარების ადგილი, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე და საკრებულოს წევრებს ეცნობება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ყველა საჯარო ინფორმაცია, მათ შორის სხდომების მოწვევის თარიღი, ჩატარების დრო, განსახილველი საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, საკრებულოსა და ბიუროს, საკრებულოს კომისიის სხდომის ოქმები ქვეყნდებოდა ვებგვერდის საშუალებით. მოსახლეობის სხდომების ჩატარებისა და განსახილველი საკითხების თაობაზე მეტი ინფორმირებისათვის ასევე აქტიურად ვიყენებდით სოციალურ ქსელს. თანდათან ვნერგავთ საკრებულოს კომისიების გასვლისთი სხდომების ჩატარების პრაქტიკას. გასულ წელს საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ, რამდენიმე გასვლითი სხდომა ჩაატარა საკრებულოს სხდომებზე განსახილველი სათხებისათვის.

რამდენიმე წინადადებით მინდა შევეხო საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების საქმიანობას:

განვლილ საანგარიშო პერიოდში 2024 წელში, აპარატის მიერ საკრებულოს კომისიებთან ერთად მომზადდა და ჩატარდა **69** სხდომა, განხილული იქნა **163** საკითხი, მათ შორის:

1.საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ჩატარებული აქვს 14 სხდომა, განხილულია **26** საკითხი, (მათ შორის ერთი გაფართოებული).

2.ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის კომისიამ ჩაატარა **15** სხდომა განიხილა **40** საკითხი.

3.განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ **14** სხდომაზე განიხილა **40** საკითხი **(მათ შორის ჩატარებულის 2 გასვლითი სხდომა) .**

4.გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომისას წლის განმავლობაში განხილული აქვს **19** საკითხი, ჩაატარა **12** სხდომა საკითხი .

5.იურდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 14 სხდომაზე განხილულია **38** საკითხი.

ჩატარებულია ფრაქცია „ქართული ოცნება“ 3 სხდომა, განხილულია 3 საკითხი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით.

ვაგრძელებთ სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამას. აღნიშნულ პროგრამას სახელმწიფო 2022 წლის აპრილის თვიდან ახორციელებს და დასაქმების ხელშემწყობ სხვა ღონისძიებებს შორის შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საზოგადებრივ სამუშაოებზე დასაქმებას ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ახორციელებს, მოსახლეობის ინფორმირებისა და მხარდაჭერის, ასევე მონიტორინგის ნაწილშიც აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახური და ჩვენის მხრივ მუნიციპალიტეტის საკრებულო ჩართულია ამ პროგრამის განხორციელების ხელშეწყობაში. **2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასაქმებული გვყვს 139 სოციალურად დაუცველი პირი.**

აქედან, ააიპ "ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლაგარეშე დაწესებულებათა გაერთიანებაში" დასაქმებულია 52 ბენეფიციარი; "ბაღდათის კეთილმოწყობის დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებაში“ - 69; "ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრიში" - 3 ბენეფიციარი; "ბაღდათის ხელოვნებისა კულტურის განვითარების ცენტრიში" - 13 და ააიპ ,, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის'' მიერ დასაქმდა 2 ბენეფიციარი.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 2025 წლის 1 იანვრიდან, მუნიციპალიტეტებს ევალებათ უზრუნველყონ **პერსონალური ასისტის სერვისის მიწოდება,** რის თაობაზეც მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მუნიციპალიტეტის მერიის მომზადებული პროექტის შესაბამისად გასული წლის დეკემბრის თვის მორიგ სხდომაზე მიიღო სათანადო დადგენილება. დადგენილების მიღების მიზანია ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის განხორციელებას.

მოგეხსენებათ, გასული წლის 7 თებერვალს, სოფელ ნერგეეთში მეწყერის ჩამოშლის გამო დატრიალდა დიდი ტრაგედია, ამასთან დაკავშირებით გასულ წელს მოხდა მუნიციპალიტეტში მეწყერ საშიში ზონების კიდევ ერთხელ შესწავლა და დღეისათვის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან **80 დასკვნაზე** მეტია შემოსული. ამათგან, **52** ოჯახისათვის უსაფრთხო ადგილზე განსახლებაა რეკომენდებული და მერიის მხრიდან შესაბამისი დოკუმეტაცია გაგზავნილია სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში. რაც შეეხება გადაწყვეტილებებს, 2024 წელს საცხოვრისის

შეძენისათვის დადებითი გადაწყვეტილება მიღებულია 25 ეკოემიგრანტ ოჯახზე. ამასთან სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად და სხვადასხვა აღდგენითი სამუშაობეი შესრულებისათვის,წლის განმავლობაში ძლიერი ქარის გამო მუნიციპალიტეტში დაზიანებული საცხორებელი სახლების და დამხმარე მეურნეობის ნაგებობის სახურავების აღდგენისათვის, საქართველოს მთვრობის განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო **6.780.0 ათასი ლარი,** აქედან 350 -ზე მეტი ოჯახისათვის შეძენილი იყო ხემასალა და თუნუქის სახურავი (800.000 ათასი ლარის), 9 ოჯხის სახურვის შეცვლა უზრუნველყო თავად მუნიციპალიტეტმა, მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდა მდინარე ხანისწყალზე და ცალკეულ სოფლებში.

ჩემს ანგარიშში დეტალურად არ შეუდგები ადგილობრივი **ბიუჯეტის, ინფრასტრუქტურული პროექტების, სოციალურ და კულტურის მიმართულებით არსებულ საკითხებს, რადგან 2025 წლის პირველ კვარტალში საკრებულოს სხდომაზე მოვისმენთ მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშს 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ, სადაც წარმოდგენილი იქნება ყველა სამსახურისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა.ა.ი.პ საქმიანობის შესახებ.**

ზუსტად ერთი წლის წინ, როდესაც წარმოვადგინე ანგარიში საკრებულოს საქმიანობის შესახებ, იქ მოყვანილი მქონდა ციფრები ბოლო 10 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მიმართულებით მიღწეული შედეგების თაობაზე, დღეს ჩემს ანგარიშში წარმოგიდგენთ მაჩვენებლებს 2024 წლის ბიუჯეტისა და პროგრამების შესარულებაზე და 2025 წლის საპროგნოზო მონაცემებზე.

გასული 2024 წლის ბიუჯეტი გნისაზღვრა 14,743.0 ათასი ლარით, საიდანაც სახელნწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტი შეადგენდა 2,176.70 ათას ლარს (მიზნობრივი ტრანსფერი), ხოლო საბიუჯეტო სახსრები 12,566.30 ლარს

გასული 2024 წელი მუნიციპალიტეტმა დახურა 30,034,10 ათასი ლარის შემოსავლებით, მათ შორის საკუთარი შემოსავლებმა შეადგინა 12.950.40თასი ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილმა ტრანსფერებმა 17.075.70 ათასი ლარი.

ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით წლის ბოლოსათვის ფაქტიურად გაწეული ხარჯი ასე გადანაწილდა:

1.მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები ---------- 5,357.30 ათასი ლარი.

2.ინფრსატრუქტურის მშენებლობა,, რეაბილიტაციადა ექსპოტაცია - 9.738.10 ათასი ლარი.

3.დასუფთავება გარემოს დაცვა ---------- 1,878.80 ათასი ლარი.

4.განათლება ---------- --------- - 2,751.80 ათასი ლარი

5. კულტურა, რელიგის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 2,803.60 ათასი ლარი.

6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 8.348..8ათასი ლარი.

7. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა---------- -284.30 ათასი ლარი.

ჯამში 31,000.4 ათასი ლარი.

რაც შეეხება საპროგნოზო მაჩვენებლების შედარებას 2024 წლისას, 2025 წელთან, იგი ასეთ სურათს იძლევა:

1.**მმართველობა** და საერთო დანიშნულების ხარჯები 2024წ - 5,287.20 ათასი ლარი, 2025წ. გათვალისწინებულია 5,826.00 ათასი ლარი **(მატება შეადგენს - 538.8 ათას ლარს)**

2.ინფრსატრუქტურის მშენებლობა,, რეაბილიტაციადა ექსპლოტაცია 2024წ.დაიგეგმა - 1,316.00 ათასი ლარით, 2025 წელში გათვალისწინებულია 2,162.00 ათასი ლარი **(მატება შეადგენს 846.0 ათას ლარს) .**

3.დასუფთავება, გარემოს დაცვა 2024წ. დაიგეგმა – 1,905.00 ათასი ლარით, 2025 წ. გათვალისწინებულია - 2,320.00 ათასი ლარი **(მატება შეადგენს 415.0ათას ლარს).**

4.განათლება 2024 წ. დაიგეგმა 2,396.900 ათასი ლარით, 2025წ გათვალისწინებულია 2,824.00 ათასი ლარი **(მატება შეადგენს 427.10 ათასი ლარი).**

5. კულტურა, რელიგის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 2024წ. დაიგეგმა - 2,797.100 ათასი ლარით, 2025წ. გათვალისწინებულია 3,449.00 ლარი **(მატება შეადგენს 651.90 ათას ლარს).**

6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 2024 წელს დაიგეგმა 1,020,800 ათასი ლარით, 2025წელში გათვალისწინებულია 1,572.100 ათასი ლარი, **(მატება შეადგენს 551,30 ათას ლარს) .**

7. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 2024 წელს დაიგეგმა 20,000 ათასი ლარით, 2025 წელში გათვალისწინებულია 25.000 ათასი ლარით **(მატება შეადგენს 5,0 ათას ლარს).**

ჩვენ დავამტკიცეთ მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი, რომლის დეტალური განხილვა მოხდა საკრებულოს კომისიებში, აიტვირთა მუნიციპალიტეტის ვებგერდზე, ასვე ჩვენს ამომრჩევლებს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა ბიუჯეტის პროექტს „ჩემი გაზეთის“ ფურცლებზე, მუნიციპალიტეტის ახალ ბიუჯეტი კვლავ რჩება ორიენტირებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე და სოციალური საკითხების გადაჭრაზე, პრიორიტეტული იქნება კვლავ ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება, კვლავ გაგრძელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სოფლის მოსახლეობისათვის აუცილებელი პრობლემების მოგვარება, აქტიურად მიმდინარეობს პრემიერის ინიციატივის ,,განახლებული რეგიონების პროგრამის ფარგლებში სამუშაოები. რაც გულისხმობს ქალაქ ბაღდათის ცენტრში წერეთლის და რუსთაველის, ვაჟა -ფშაველს ქუჩების რეაბილიტაციას.
ასევე აქტიურად გრძელდება მუნიცპალიტეტში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაციის პროექტზე მუშაობა, პრაქტიკულად დაიყწო მოსამზადებელი სამუშაოები, პროექტს განახორციელებს ტენდერში გამარჯვებული თურქული კომპანია, რომელმაც უკვე შემოიყვანა გარკვეული ტექნიკა და მუშა ხელი, პროექტი ითვალისწინებს 100 მილიომი ლარის დაფინანსებას, რომელსაც გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და საქართველოს სახელწიფო ბიუჯეტი გაიღებს.

გასულ წელს კიდევ ერთი ასეთი წყლის პროექტი განხორციელდა სოფელ პირველ ობჩაში, სადაც ე.წ. მთისძირის 230 ოჯახს უწყვეტი წყალმომარაგება ექნება. პროექტი დაფინანსებულია რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან.

როგორც მოგეხსენებათ მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ტურისტული პოტენციალის ათვისება და განვითარება. სამომვლოდ კარგი პროექტი იგეგმება მუნიციპალიტეტში ტურიზმის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის, საუბარია საირმის ზემოთ ე.წ. „წითელი მინდორისა და ტყელქვების“ მიმდებარე ტერიტორიაზე სამთოსათხილამურო კურორტის მოწყობა, საირმის მიმდებარე ტერიორიზე ასევე იგეგმება ფერმერული მეურნეობის მოწყობა, რომლის განხორციელება მალე დაიწყება და 6 წლის განმავლობაში 4 მილიონი ლარი დაიხარჯება.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში გასულ წელში დაგეგმარებით გათვალისწინებულ ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მდგომარეობას, მოკლედ მოგახსენებთ, რომ გასულ წელს მუნიციპალიტეტმა რეგიონალური განვითარების ფონდიდან სულ წლის განმავლობაში მიიღო **7.305.141**ათასი ლარი, რამაც საშუალება მოგვცა დაგეფინანსებინა **17 გარდამავალი და ახალი პროექტი** (8 გარდამავალი პროექტ, 9 ახალი პროექტი ნაწილობრივ), საიდანაც მიმდინარე წელში გადავიდა 9 პროექტი. ყველა პროექტი, რომელიოც ხელშეკრულებით უნდა დასრულებულიყო 2024 წელში დასრულებულია, ასევე დასრულდა **სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული 41 პროექტი,** რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდა 346,0 ათასი ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თვითდაფინანსებამ შეადგინა 4.0 ათასი ლარი. **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გასულ 2024 წელში დაფინანსდა 8 პროექტი, 366.421 ათასი ლარით.** მუნიციპალური განვითრების ფონდიდან სრულად დაფინანსდა ექპლოტაციაში გავიდა სოფელ წყალთაშუაში 50 აღსაზრდელზე ახალი საბავშო ბაღი.

გასულ წელს პირველად, მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეყობისათვის და მათი, ინფრასტრუქტურული მცირე პროექტების მოთხოვნების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით **მუნიციპალიტეტს გამოეყო 235.889 ათასი ლარი, თანადაფინანსებამ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შეადგინა 20.846 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ათისებული იქნა.**

მიმდინარე წლისათვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან უკვე გამოყოფილია **5.187.702 ათასი ლარი,** რომელიც სრულად მოხმარდება 2024 წლიდან გადმოსულ 9 პროექტის დასრულებას (ძირითადში ეს არის საგზაო ინფრსატრუქტურული პროექტები). მათ დაემატება სოფლის მხადაჭრის პროგრამა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, რამდენიმე პროექტი, რაც საშუალებას მოვცემს ეტაპობრივად დავაკმაყოფილოთ ადილობრივი მოსახლეობის მოთხოვნები და წინადადებბი ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით.

ჩვენს საქმიანობაში ძალზედ მნიშვნელოვანია ადგილობრივი **ხელისუფლების ერთიანობის** პრინციპი, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოთა ერთიან ორგანიზმად არსებობას, რაც დღემდე შენარჩუნებულია საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის, საკრებულოს ყოველთვის ჰქონდა კოლეგიალურ თანამშრომლობაზე დამყარებული საქმიანობა, როგორც მუნიციპალიტეტის მერთან, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან.

მნიშვნელოვანი იყო მუნიციპალიტეტის ორგანოების **ურთიერთობა საქართველოს პარლამენტის წევრთან,** ბაღდათი-ტყიბული, თერჯოლა, ზესტაფონის მაჟორიტარ დეპუტატთან, რომელიც აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებთან. მიუხედავათ იმისა, რომ მისი სადეპუტატო მოქმედების არიალი მოიცავდა 4 მუნიციპალიტეტს, იგი ყოველთვის პოულობდა დროს და საშუალებებს აქტიურად ჩაერთულიყო მუნიციპალიტეტის საკითხების დადებითად გადაწყვეტის საქმეში.

ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი **მაჟორიტარი საკრებულოს წევრების** წვლილი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი ჯანმრთელობის დაცვისა და პირადი პრობლემების მოგვარების საკითხებში. ყოველი მათგანი ზუსტად ფლობს ინფორმაციას მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქალაქეთა ყოფით ცხოვრებაზე.

და ბოლოს,

მინდა მადლობა გადაუხადო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველა წევრს, საკრებულოს კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარეებს, საკრებულოს აპარატს, ნაყოფიერი საქმიანობისა და თანამშრომლობისათვის, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობას კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის, გისურვებთ ჯანმრთელობას და მშვიდობას, 2025 წელი ყოფილიყოს წარმატებული წელი თითოეული თქვენთაგანისათვის.

მადლობა ყურადღებისათვის.